„საქართველოს სოლიდარობის ფონდი“ , საქართველოს პრემიერის ინიციატივით, 2014 წლის 9 ივნისს დაფუძნდა. ფონდის მიზანია, ფინანსური დახმარება გაუწიოს სოციალურად დაუცველ ან ძვირადღირებული სამედიცინო მომსახურების გადაუდებელი საჭიროების მქონე ბავშვებსა და მათ ოჯახებს.

დღემდე ასეთი პაციენტების დასახმარებლად სახსრების მობილიზაციას არასამთავრობო ორგანიზაციები ან პაციენტის ოჯახები და მეგობრები ახორციელებდნენ; არ არსებობდა სისტემური პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფდა როგორც თანხების სისტემატურად მობილიზაციას, ისე ყველა შესაძლო ბენეფიციარის დახმარებას და რესურსების გამჭვირვალე ადმინისტრირებას. „საქართველოს სოლიდარობის ფონდი“ სწორედ ამ პრობლემების გადაჭრის მიზნით დაარსდა. პირველ ეტაპზე ის ონკოლოგიური პაციენტების, უპირველესად კი, ბავშვების მკურნალობას აანაზღაურებს.

იუსტიციის სამინისტრო და სამინისტროს სსიპ-ები, მათ შორის საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, იმ უწყებათა შორის არიან, რომელთაც საქველმოქმედო ფონდთან თანამშრომლობის სურვილი უკვე გამოთქვეს და მათი თანამშრომლები საქველმოქმედო მიზნებისათვის თანხებს ყოველთვიურად გადარიცხავენ.

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, ეს ემსახურება იმას, რომ სოლიდარობის იდეა დამკვიდრდეს საქართველოში და ყველამ განსაკუთრებით მათ, ვინც სახელმწიფოს ვემსახურებით, გავაცნობიეროთ, რომ სხვისი უბედურება ჩვენი უბედურებაც არის, სხვისი პრობლემა ჩვენი პრობლემაც არის. ამიტომაც მე მოვუწოდე ყველა თანამშრომელს, რომ ამ ფონდში გადაერიცხა თუნდაც ერთი ლარი.

ივლისსა და აგვისტოში საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან „საქართველოს სოლიდარობის ფონდში“ 618 ლარი ჩაირიცხა.